უწინარეს ყოვლისა მაგონდებოდა ყველა ამხანაგი, რომლებიც ჩემთან იყვნენ იმ ლამჩრობაში და, რა თქმა უნდა, ყველა ამხანაგი, რომლებიც ბრძოლის წლებში დაიღუპნენ. გამახსენდა ყველა სიძნელე, რომლებიც ამ წლებში დავძლიეთ ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს მომავლის რწმენით აღვსილებმა. ჩვენ მართლაც უნდა დაგვეძია კოლოსალური სიძნელეები. ახლა ამის წარმოდგენა ძნელია, მაგრამ უნდა გადაგვალახა ათას ხუთასი მილი ძანძილი ამ პატარა სანდალით. დაბოლოს, კმაყოფილებით მინდა ვთქვა: ჩვენ დავინახეთ, რომ არც ერთ მსხვერპლს ამაოდ არ ჩაუვლია და ბევრ ჩვენგანს ბედმა გაუღიმა იმ თვალსაზრისით, რომ ხორცშესხმული ვნახეთ ის ოცნებები და იდეალები, რომლისთვისაც შეუპოვრად ვიბრძოდით ამ წლებში.

დასასრულ ამხანაგმა ფიდელ კასტრომ თქვა:

მსურს საბჭოთა ხალხს გადავცე ჩვენი უაღრესად მხურვალე გრძნობები, მეგობრობის, სიყვარულისა და სოლიდარობის გრძნობები, აგრეთვე ვსარგებლობ შემთხვევით, რათა მივესალმო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს, ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და საბჭოთა მთავრობის წევრებს. მაღე ველად გვხვდება დიდი პატივი და ჩვენთან ჩამოვა ამხანაგი ბრეჟნევი. საბჭოთა ტელევიზიის საშუალებით მსურს განსაკუთრებით პირადად მივესალმო მას, გამოვხატო ჩვენი სიხარული იმის გამო, რომ იგი მაღე ჩვენს შორის იქნება, ჯუთხრა, თუ რა დიდი ენთუზიაზმი სუფევს კუბელ ხალხში, რომ დიდად ბედნიერი ვართ ვიხილოთ აქ რამდენიმე დღის შემდეგ, როცა იგი ჩვენს ქვეყანაში ჩამოვა, მინდა აღვუთქვა მას, რომ ამ დღეებში იგი თავს კარგად იგრძნობს კუბაში, ბედნიერი იქნება ჩვენს შორის.

მსურს აგრეთვე მადლობა გადავუხადო საბჭოთა ტელევიზიას იმისათვის, რომ საშუალება მომცა მიმემართა საბჭოთა ხალხისათვის. დიდად მადლობთ. (საკდესი).

ნიკოლას გილიენი: საუბიზარულო მოვლენა ყველა კუბელისათვის

კუბა მოელის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს



ჰავანა, 24 იანვარი. (საკდესის კორ.). ხაკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს მარტო ჩვენი ხალხისათვის როდი ექნება ფუმარიტად ისტორიული მნიშვნელობა. იგი უფართოეს რეზონანსს გამოიწვევს ლათინურ ამერიკასა და მთელ მსოფლიოში, განაცხადა „ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური კომიტეტის ლაურეატმა, კუბის მეურალთა და კულტურის მოღვაწეთა კავშირის პრეზიდენტმა, ცნობილმა კუბელმა პოეტმა ნიკოლას გილიენმა.

ლათინური ამერიკისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ხალხებს, თქვა მან ხაკდესის კორესპონდენტთან საუბარში, მიეცემათ ახალი ბრწყინვალე შესაძლებლობა, რათა დარწმუნდნენ, რომ სსრ კავშირისა და კუბის, ისევე როგორც საერთოდ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ურთიერთობას ახასიათებს უწინარეს ყოვლისა ნამდვილი თანასწორუფლებიანობისა და ძმობის სულისკვეთება, რომ ამ ურთიერთობას საფუძვლად უდევს პროლეტარული სოლიდარობისა და ინტერნაციონალიზმის უარეული პრინციპები.

კუბელი მწერლები და პოეტები, მუსიკოსები და მხატვრები, შემოქმედებითი შრომის ადამიანები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის მთელი ხალხი, მოუთმენლად მოელიან ძვირფას სტუმარს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს. მისი ვიზიტი კუბაში უაღრესად ხასიათოვანი მოვლენაა ყველა კუბელისათვის. იგი ხელს შეუწყობს ჩვენი მოძმე ქვეყნების ურღვევი მეგობრობის შემდგომ გაღრმავებას.

ნიკოლას გილიენმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და კუბის მწერლების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეების თანამშრომლობა, რომელიც დღითი დღე მტკიცდება, ვითარდება ძმობის, ამხანაგობის ატმოსფეროში და ხელს უწყობს ორივე ქვეყნის შემოქმედებითს გამდიდრებას. ყოველი დღე ხახავს სულ ახალ-ახალ შესაძლებლობებს ჩვენი ქვეყნების ძმური ურთიერთობის ნაყოფიერი და ურთიერთხელსაყრელი განვითარებისათვის, ჩვენი ურღვევი მეგობრობის განმტკიცებისათვის. და ამის ყველაზე მკაფიო გამოხატულება იქნება ხკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტი კუბაში. ჩვენი ხალხი ამ დღეებში ცხოვრობს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან შეხვედრის მოლოდინით, ემზადება ყველაზე მხურვალე და გულითადი მასპინძლობა გაუწიოს მას.

გფრ პრეზიდენტის არჩევნების გამო

ბონი, 25 იანვარი. (საკდესი). ფედერალური კანცლერის უწყებაში გაიმართა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და ქრისტიანულ-სოციალური კავშირის წარმომადგენლობა შეხვედრა. ახლა ამის წარმოდგენა ძნელია, მაგრამ უნდა გადაგვალახა ათას ხუთასი მილი ძანძილი ამ პატარა სანდალით. დაბოლოს, კმაყოფილებით მინდა ვთქვა: ჩვენ დავინახეთ, რომ არც ერთ მსხვერპლს ამაოდ არ ჩაუვლია და ბევრ ჩვენგანს ბედმა გაუღიმა იმ თვალსაზრისით, რომ ხორცშესხმული ვნახეთ ის ოცნებები და იდეალები, რომლისთვისაც შეუპოვრად ვიბრძოდით ამ წლებში.

დასასრულ ამხანაგმა ფიდელ კასტრომ თქვა:

მსურს საბჭოთა ხალხს გადავცე ჩვენი უაღრესად მხურვალე გრძნობები, მეგობრობის, სიყვარულისა და სოლიდარობის გრძნობები, აგრეთვე ვსარგებლობ შემთხვევით, რათა მივესალმო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს, ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და საბჭოთა მთავრობის წევრებს. მაღე ველად გვხვდება დიდი პატივი და ჩვენთან ჩამოვა ამხანაგი ბრეჟნევი. საბჭოთა ტელევიზიის საშუალებით მსურს განსაკუთრებით პირადად მივესალმო მას, გამოვხატო ჩვენი სიხარული იმის გამო, რომ იგი მაღე ჩვენს შორის იქნება, ჯუთხრა, თუ რა დიდი ენთუზიაზმი სუფევს კუბელ ხალხში, რომ დიდად ბედნიერი ვართ ვიხილოთ აქ რამდენიმე დღის შემდეგ, როცა იგი ჩვენს ქვეყანაში ჩამოვა, მინდა აღვუთქვა მას, რომ ამ დღეებში იგი თავს კარგად იგრძნობს კუბაში, ბედნიერი იქნება ჩვენს შორის.

მსურს აგრეთვე მადლობა გადავუხადო საბჭოთა ტელევიზიას იმისათვის, რომ საშუალება მომცა მიმემართა საბჭოთა ხალხისათვის. დიდად მადლობთ. (საკდესი).

ტელეტაიპის ლენტიდან...

ფაქტები

იზრდება სამხედრო ხარჯები

● **ვაშინგტონი, 25 იანვარი.** (საკდესი), ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ჯ. შლესინჯერმა პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადა, რომ პენტაგონის 1975 საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მალე წარედგინება კონგრესს, 6-7 მილიარდი დოლარით გადააჭარბებს მიმდინარე საფინანსო წლის ბიუჯეტს.

წლევანდელ საფინანსო წელს, რომელიც 30 ივნისს მთავრდება შლესინჯერის თქმით, თავდაცვის სამინისტროს ხარჯები 79 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ტელეცენტრის მშენებლობის გეგმა

● **სოფია, 25 იანვარი.** (საკდესი). ბულგარეთის მინისტრთა საბჭომ დამტკიცა ეროვნული რადიოსატელევიზიო ცენტრის მშენებლობის გეგმა. ცენტრში შევა რადიოს სახლი, ცენტრალური ტელევიზიის კომიტეტის შენობა და ტელეფილმების გადასაღები პავილიონები, ადმინისტრაციულ-საწარმოო კორპუსი. მშენებლობისათვის გამოყოფილია 20 ჰექტარი ფართობი სოფიის აღმოსავლეთ რაიონში. კომპლექსის მშენებლობა დაიწყება წელს. ეროვნული რადიოსატელევიზიო ცენტრი ალიკურვება უახლესი მოწყობილობით, რომელსაც მიაწვდიან საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები.

იზრდება უმუშევართა არმია

● **ვაშინგტონი, 25 იანვარი.** (საკდესი). უმუშევართა არმიას ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი წლის პირველ დღეებში კიდევ 200 ათასი კაცი მოემატა, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო ენერგეტიკული კრიზისის პირობებში წარმოების მკვეთრად შეკვეცის შედეგად. ამას იუწყება შრომის სამინისტრო.

მშრომელთა მასობრივი დათხოვნა ამჟამად არსებითად მიმდინარეობს ამერიკის მრეწველობის ყველა დარგში.

განიხილავენ დიდმნიშვნელოვან პროგლემებს

● **ჰაავა, 25 იანვარი.** (საკდესი). ამხეტერდამში მიმდინარეობს ევროთანეგზული ერების ორგანიზაციის მოსახლეობისა და ადამიანის უფლებათა პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი. მასში მონაწილეობენ მსოფლიოს 20 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები. დღის წესრიგშია მოხსენების შემუშავება მოსახლეობის საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიო კონფერენციისათვის, რომელიც უნდა გაიმართოს მომდინარე წლის აგვისტოში ბუქარესტში. სიმპოზიუმი 29 იანვრამდე გასტანს.

ეხმარებიან უაშინგტონ ხუნტას

ვაშინგტონი, 24 იანვარი. (საკდესი). ამერიკის საზოგადოებრივობა გმობს შეერთებულ შტატებს, რომელიც სამხედრო დახმარებას უწევს ჩილეს ფაშისტურ ხუნტას. სენატორმა ე. კენედიმ გაიელაშქრა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ გაუქმოს სენატის მიერ მიღებული მესსრეფა ჩილეს რეჟიმისათვის ამერიკის სამხედრო დახმარების შემცირების შესახებ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სრულიად არ ზრუნავს ადამიანის უფლებებისათვის ჩილეში, უზრდის კრედიტებს ამ რეჟიმს და ხელს უწყობს ამერიკის კერძო ბანკების დაბანდებებს ჩილეს ეკონომიკაში.

როგორც ცნობილია, ჩილეს სამხედრო-საზღვაო ძალებმა ამ დღეებში შეეტაკებელი შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან მიიღეს საჩქარედ ორი სამხედრო კატერი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სანქცია მისცა ავრეთვე ხუნტისათვის 10 მილიონი დოლარი კრედიტის გამოყოფას იარაღის შესაძენად.

ხალი მოაწერმს გეგმას

კაირო, 25 იანვარი. (საკდესი). კაირო-ხუეცის გზის 101-ე კილომეტრზე ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის გენერალური შტაბის უფროსმა მუჰამედ ადელ განი ალ-გამასიმ და ისრაელის გენერალური შტაბის უფროსმა დ. ელაზარმა ხელი მოაწერეს მომდინარე წლის 18 იანვრის შეთანხმების შესრულების დაწვრილებითს გეგმას ეგვიპტისა და ისრაელის ჯარების დაშორიშორების შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ჯარების სარდალმა ახლო აღმოსავლეთში გენერალ-ლეიტენანტმა ე. სიილასვუომ აგრეთვე ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს.

ამ გეგმის შესაბამისად 25 იანვრიდან უნდა დაიწყოს ისრაელის ჯარების გაყვანა მათ მიერ დაკავებული პოზიციებიდან სუეცის არხის დასავლეთ ნაპირზე.

მიღწეულია შეთანხმება

ანკარა, 25 იანვარი. (საკდესი). აქ სახალხო-რესპუბლიკურ პარტიასა და ეროვნული ხსნის პარტიას შორის მიღწეულია შეთანხმება ამ ორი პარტიის კოალიციის შესახებ თურქეთის მთავრობის შედგენის მიზნით.

თურქეთის პრეზიდენტმა ფ. კორუთურქმა, როგორც ვიუწყებოდით, მეორედ შესთავაზა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ლიდერს ბ. ეჯევოს კაბინეტის შედგენა მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე სცადა მთავრობის კრიზისის გადაჭრა, რომელიც სამ თვეზე მეტია გრძელდება. რამდენადაც სახალხო-რესპუბლიკურ პარტიას არა ჰყავს საკმარო უმრავლესობა პარლამენტში ერთპარტიული მთავრობის შედგენისათვის, ბ. ეჯევითმა დაიწყო მოლაპარაკება თანამშრომლობის შესახებ ეროვნული ხსნის პარტიასთან. ამ ორი პარტიის ლიდერებს შორის ხანგრძლივი და დაძაბული კონსულტაციების შემდეგ ბოლოს უთანხმოებანი მოაგვარეს.

ბრძოლისა და გამარჯვებათა წლები

26 იანვარი ინდოეთის რესპუბლიკად გამოცხადების დღეა



ადმინისტრაციული შენობები დელის ცენტრში.

საკდესის ფოტო.

დღეს ინდოელი ხალხი ზეიმით აღნიშნავს თავისი რესპუბლიკის დაბადების დღეს. ეს დიდი ეროვნული დღესასწაული 24-ჯერ დაუდგა უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის ქვეყანას, რომელიც მომავლის გზას იკვალავს.

...ჩამავალი მზის სხივები ესალბუნება , და შეშამეულისფრად ღებავს რაშტრაპატი ბჰავანის სასახლის—ინდოთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეზიდენციის მასიურ წითელი ქვის კოლონადებს. ცის ლაჟვარდის ფონზე სასახლის თავზე ფრიალებს ნარინჯისფერ-თეთრ-მწვანე ინდური ალამი — დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის სიმბოლო. დელის ცენტრალური მაგისტრალი — რაჯპატი („სახელმწიფოს გზა“) ანვრის ამ თბილ დღეებში მორთულია დიდი ნარფერადი ტილოებით, რომლებზეც გამოსახულია „ჩაკრა“ — მარადიული წინსვლის სიმბოლო. ეს სიმბოლო შემთხვევით როდია შერჩეული: მსოფლიოს რუკაზე ინდოეთის რესპუბლიკის გაჩენამ დასაბამი მისცა ამ ქვეყანაში კოლონიალიზმის მძიმე შემკვიდრეობის დაძლევის, ეროვნული ეკონომიკის საფუძვლების მშენებლობის პროცესს, დიდმნიშვნელოვანი სოციალური პრობლემების გადაჭრას.

ერთხელ, უცხოელ ჟურნალისტებთან საუბარში ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ გულისტკივილით თქვა, რომ ინდოეთი დიდხანს იყო ბრიტანეთის ბატონობის ქვეშ. კოლონიური რეჟიმი, აღნიშნა მან, მაშინ, ფიტავდა ქვეყნის სამდიდრეებს, ეფერხებოდა თანამედროვე ინდუსტრიის შექმნას და მოადუნა სოფლის მეურნეობა, საზოგადოების მთელი სოციალური სტრუქტურა. და ახლა, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ ჯერ მაინც არ არის გადაჭრილი ყველა პრობლემა. ქვლავ რჩება სიღატაკე და უმუშევრობა, ეკონომიური სიძნელეები. ფეოდალური შემამულური ელემენტები და კერძო კაპიტალი ეწინააღმდეგებიან მთავრობის პროგრესულ რეფორმებს.

დიახ, ეს ასეა. მაგრამ ამასთანავე დამოუკიდებელი განვითარების წლებში ინდოეთის რესპუბლიკამ უდიდესი ნაბიჯები მოახდინა საკუთარი ინდუსტრიული ბაზის შექმნაში, სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, ღრმა სოციალური გარდაქმნების განხორციელებაში. დღევანდელი ინდოეთი — ეს არის ატომური რეაქტორებისა და ურთულესი ელექტრონული აპარატურის, ნავთობის ჭაბურღილებისა და მეტალურგიული გიგანტების ქვეყანა. ეროვნულ საგეგმო კომისიაში — ინდოეთის ეკონომიური განვითარების გეგმების შემუშავებელ ცენტრში — მაცნობებს, რომ შორშორდელი სასტიკი გვალვის მიუხედავად მარცვლეულის წარმოებამ ინდოეთში შეადგინა თითქმის 115 მილიონი ტონა, ანუ ერთიორად მეტი, ვიდრე 24 წლის წინ. მეტალურგიული ქარხნების სიმძლავრე ამ პერიოდში 1,5-დან 9 მილიონ ტონა ფოლადამდე გაიზარდა, ქვანახშირის მოპოვება — 35-დან 72 მილიონ ტონამდე, ელექტროსადგურების სიმძლავრე — 2,05-დან 16,4 მილიონ კილოვატამდე.

მტკიცდება სახელმწიფო სექტორის პოზიციები, რასაც ინდოეთის მთავრობა და პროგრესული ძალები სამართლიანად მიიჩნევენ სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნებისა და ეკონომიური დამოუკიდებლობის მიღწევის მთავარ ინსტრუმენტად. ხუთწლედების მაძიებლებსაც, კოლონიური ეპოქის მძიმე მემკვიდრეობასაც. ამიტომ გასაგებია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქ ენიჭება 1974-1979 წლების ეროვნული ეკონომიკის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის პროექტს, რომელიც ახლახან შეიტანეს რესპუბლიკის პარლამენტში.

როგორია ხუთწლედის დამახასიათებელი ნიშნები? აი რას ფიქრობს ამ საკითხზე ინდოეთის დაგეგმვის მინისტრი დ. პ. დჰარი:

— გეგმის ძირითადი ამოცანებია — ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება, სიღატაკის აღმოფხვრა, ინდუსტრიული ბაზის ყოველმხრივი განვითარება და განმტკიცება, — თქვა მან ჩემთან საუბარში.

მინისტრის მიერ მოყვანილი ციფრები ფრიად მნიშვნელოვანია. საკმარისია ითქვას, რომ კაპიტალდაბანდებათა საერთო თანხა მეხუთე ხუთწლედში შეადგენს 534 მილიარდ 110 მილიონ რუპიას. ეს ერთიორად და მეტად აღემატება მეოთხე ხუთწლედის ასიგნებებს.

გეგმა ითვალისწინებს ფოლადის, ქვანახშირის, ნავთობის, ელექტროენერგიის, ქიმიური საუქების წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას. გათვალისწინებულია რადიკალური გარდაქმნები სოფლად, სადაც ინდოეთის მოსახლეობის 80 პროცენტი ცხოვრობს. ხუთწლედის დავალებათა შესრულება, უეჭველია, ხელს შეუწყობს ხალხის მასების ცხოვრების დონის ამაღლებას, სიღატაკისა და უმუშევრობის აღმოფხვრას — თქვა დასასრულ ჩემმა თანამოსაუბრემ.

მე-5 ხუთწლიანი გეგმის პროექტის გარშემო ჩაღდება მძაფრი პოლიტიკური დისკუსია. კვლავ გააქტიურდნენ რეაქციის ძალები, რომლებიც დაცვაზე გადავიდნენ პარლამენტის უკანასკნელ არჩევნებში დამარცხების შემდეგ. მუქარიდან და ულტიმატუმებიდან ისინი გადავიდნენ ბრძოლის უფრო შენიღბულ ფორმებზე. მაგალითად, ისინი გააფთრებით ამტკიცებენ ახალი ხუთწლედის დავალებანი „რეალური არ არისო“. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ასე არ არის. განვითარების ეროვნულ გეგმებს, როგორც ბაზგასმით აღნიშნავს ბევრი წამყვანი ინდოელი ეკონომისტი, საფუძვლად უდევს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, ქვეყანაში უკვე განხორციელებულ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა გამოცდილება, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერა.

საგარეო-პოლიტიკურ დარგში ინდოეთის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცების ემსახურება ინდირა განდის მთავრობის მიერ განხორციელებული მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების თანამშრომლური პოლიტიკა. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ინდოეთში ამასწინანდელმა ოფიციალურმა მეგობრულმა ვიზიტმა, რომელსაც გულთბილად და გულიანად შეხვდა მთელი ქვეყანა, ახალი მკაფიო ფერცელი ჩაწერა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენების მატიანეში და ამასთან კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ორი ქვეყნის ურთიერთობა.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობას დიდი ტრადიციები აქვს. სსრ კავშირი ინდოეთს იწვევდა და კვლავაც უწევს ქმედითი დახმარებას კოლონიალიზმის მემკვიდრეობის ლიკვიდაციაში, საკუთარი ეროვნული ეკონომიკის შექმნაში. ამ ორ ქვეყანას შორის წარმატებით ვითარდება საგაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობა, რომელსაც საფუძვლად უდევს თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპები. ჩვენი ქვეყნის მონაწილეობით ინდოეთში აშენდა ან მშენებლობის სტადიაშია 70 სამრეწველო ობიექტი. აქედან 50 ობიექტი ეკონომიკის ისეთ გადამწყვეტ დარგებში, როგორიც არის მეტალურგია, მანქანათმშენებლობა ნავთობის მრეწველობა, ენერგეტიკა, ხელსაწყოთმშენებლობა: უკვე იძლევა პროდუქციას. საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკონომიური თანამშრომლობის პირმშომ — ბჰილაის მეტალურგიულმა ქარხანამ, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ ინდოეთის მძიმე ინდუსტრიის ფლაგმანს, უკვე გამოადგნო დაახლოებით 20 მილიონი ტონა ფოლადი. შეთანხმებაში, რომელსაც ხელი მოაწერეს ინდოეთში ლ. ი. ბრეჟნევის ისტორიული ვიზიტის დღეებში, გათვალისწინებულია ბჰილაისა და ბოკაროს მეტალურგიული ქარხნების სიმძლავრეთა გაფართოება შესაბამისად 7 მილიონ და 10 მილიონამდე ტონა ფოლადით წელიწადში.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე 4-ჯერ და მეტად გაიზარდა აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ინდოეთის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა. ათასობით ინდოელმა სტუდენტმა და ასპირანტმა, სხვადასხვა სპეციალობის ინჟინერმა და ტექნიკოსმა სწავლება ან სტაჟირება გაიარა საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებსა და საწარმოებში.

„ჩვენ, ინდოეთში, — განაცხადა საუბარში საგარეო საქმეთა მინისტრმა სვარანგ სინგმა,—დიდად ვაფასებთ ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებისა და ხალხების პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის წარმატებით განვითარებას. ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტმა უფრო მეტად დააახლოვა ჩვენი ქვეყნები და დიდი როლი შეასრულა ჩვენი ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში“.

ინდოეთის რესპუბლიკის დღეს საბჭოთა აღამიანები გულწრფელად უსურვებენ მეგობარ ინდოელ ხალხს შემდგომ წარმატებებს ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეში, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის გზით ქვეყნის განვითარებაში.

ვ. მატიანი,
(საკდესის კორ.).

დელი.

მეგობრობა, თანამშრომლობა

1974 წლის 21-დან 24 იანვრამდე საბჭოთა კავშირის მთავრობის მოწვეულით საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ისმაილ ფაჰმი.

**ა. ფაჰმი მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმე



თბილისის ცაშია ტუ-134-ა



საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს თვითმფრინავების პარკს შეემატა უახლესი მანქანები — ტუ-134-ა. იანვრის დამლევიდან 76-ადგილიანი ლაინერები ყოველდღიურად ივლიან თბილისის აეროფორომდან მოსკოვის მიმართულებით.

...ასაფრენ ზოლზე მოვერცხლისფრო-ცისფერი ლაინერი გარინდულა. შევდივართ თვითმფრინავში. სალონში თბილა, თუმცა ძრავები არ შუმაობენ.

— ზაფხულობით კი აქ ისე გრილა, რომ მთაში გეგონებათ თავი, — ამბობს მეორე პილოტი ვივი სააკაძე. — დამატებითი ძრავა დგომის დროსაც კი ათობობ ან აგრილებს კაბინას და სალონს.

მგზავრები მოსახერხებელ საკაბინეებში ჩასხდნენ. ახლა სასიამოვნოდ ფრენა მოეწყობა. დღის სინათლის ნათურები სასიამოვნო შუქს ჰფენენ სალონს. ყოველ სავარძელს თავისი განათება აქვს. აი, ძრავებიც ამოქმედდა. მათ შეუძლიათ 13,5 ათას კილოგრამზე მეტი წევა განავითარონ და ცაში გაიროლონ სამგზავრო ლაინერი, რომლის საერთო წონა ტვირთიანად 47 ტონას აღწევს. ბორტგამციცებლების ნატაშა ერიციანისა და ირა აპასიანის ინფორმაციის შემდეგ რადიოში მუსიკა გაისმა. თვითმფრინავის კუდის ნაწილში მოთავსებული ძრავების გუგუნი მგზავრებს სულ არ უშლის ხელს სასიამოვნო მუსიკის მოსმენას.

მანქანამ სასთან მეტ ხანს იფრინა, მაგრამ მგზავრებს დაღლილობა არ გვიგრძვნია. სალონში სიჩუმეა. თბილა, ისეთი სიმყუდროვეა, შეგიძლია ხმის აუღლებლად ისაუბრო. დედამიწიდან 10 კილომეტრზე ასული თვითმფრინავის სალონში ისეთი სუფთა ჰაერია, როგორიც მთაშია 1200 მეტრ სიმაღლეზე.

მოსკოვში ისე ჩავედით, რომ ვერც კი შეგამჩნიეთ, მთელი გზა შეეხეთი გრაგალური ქარი რომ ქროდა, რომლის სიჩქარე, ეკიპაჟის შტურმანის ვლადიმერ ბაკულინის გაანგარიშებით, საათში თითქმის 240 კილომეტრს აღწევდა. სიტყვამ მოიტანა, და პაერის შემხვედრი ნაკადი თურმე თვითმფრინავს არ აძლევდა შესაძლებლობას განვითარებინა მაქსიმალური სიჩქარე. სამაგიეროდ, თბილისში რომ მოვფრინავდით, ზურგის ქარმა ჩვენს ლაინერს საათში 1.000 კილომეტრზე მეტი სიჩქარე განავითარებინა.

— საუცხო მანქანაა, — ამბობს ეკიპაჟის მეთაური, პირველი კლასის მფრინავი ი. კოროვჩენკო. — აქ ყველა სისტემა ისეა მოწყობილი, რომ თვითმფრინავი ავტომატურად დაეშვას დასაჯდომად. ავტოპილოტი ფრენის ხაიმედობას უზრუნველყოფს.

მაგრამ მხოლოდ ავტოპილოტი როდია უსაფრთხოების საწინდარი. ბორტმექანიკოსმა ჰუსეინ მურიაზოვმა გულდასმით შეამოწმა მანქანა, დედამიწაზე და პაერშიც ზუსტად ასრულებდა თავის მოვალეობას.

...თვითმფრინავმა ღრუბლებში ჩაყვინთა. წამიც, და დათოვლილი მოსკოვი გამოჩნდა. თბილისიდან მოსკოვამდე 1.660 კილომეტრი მანძილი ტუ-134-ა ლაინერმა 2 საათსა და 10 წუთში დაფარა.

ი. გორელოვი,
(საინფორმის სპეც. კორ.).

თბილისი-მოსკოვი.

სურათებზე: ზემოთ — ტუ-134-ა თბილისის აეროპორტში; ქვემოთ — თვითმფრინავის ეკიპაჟი (მარცხნიდან): შტურმანი ვ. ბაკულინი, ბორტმექანიკოსი ჰ. ზურიაზოვი, მე-2 პილოტი გ. საკაძე და მეთაური ი. კოროვჩენკო.

ბ. ბამპაძის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

დღეს, 26 იანვარს, დასავლეთ საქართველოს ხანაბრო რაიონებში მცირე ნალექია მოსალოდნელი, რაონის ხეობაში იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 3-8 გრადუსი სითბო, მთაში —ნულიდან 5 გრადუსი ყინვა.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში მცირე თოვლია მოსალოდნელი, ხუსტი ქარი, გზები მოყინულია, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 1-5 გრადუსი სითბო, მთაში 5-10 გრადუსი ყინვა.

თბილისში უნალექო ამინდი იქნება, ტემპერატურა 3-5 გრადუსი სითბო.

ᲙᲔᲗᲘᲚ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲚᲔᲕᲡ!

ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲝᲑᲐ, ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ

ნაჭრარალას უღელტეხილი თოვლის ხაბანშია გახვეული. ზამთარში ძალიან ძნელია მგზავრობა. მაგრამ აქ დამხმარე ტექნიკა ეგულებათ მგზავრებს...

სასწრაფო აუცილებელი საქმის გამო ონიდან მიმავალმა მგზავრების ერთმა ჯგუფმა ამბროლაურის გავლით ნაქერალის უღელტეხილის გადავლა ავარჩიეთ. გავცდით შორს, დიდი თოვლი იყო, მაწყანას გაუჭირდა სვლა. გზაზე უკან გამობრუნებული მანქანები შეგვხვდა.

გამოჩნდა ტრაქტორი, ნაქერალის წვერზე მყოფ შაორის გეოლოგიური პარტიის ეაბურღილის მუშებისათვის მასალა მოეტანა, ვთხოვეთ ტრაქტორისტ ვაჟა ქემოკლიძეს ჩვენთვის დახმარება აღმოეჩინა. მან მანქანა გამოაბა ტრაქტორს და მიგვიყვანა წვერზე. აქ კი უძლიერესი ქარბუქი მძვინვარებდა. ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი მგზავრი ჩორდინ გეოლოგიური პარტიის უფროსი ირაკლი ჯაფარიძე და წვერზე ეაბურღილზე მომუშავე ბიჭები ტრაქტორისტ ვ. ქემოკლიძესთან ერთად ნახევარ საათზე მეტ ხანს ებრძოდნენ გამძვინვარებულ სტიქიას და სამშვიდობოზე გაგვიყვანეს. როდესაც ტრაქტორისტსა და ეაბურღილზე მომუშავე მუშებს დასამჯელო შევაძლიეთ, მათ ამაზე უარი გვითხრეს, არ გამოგვართვეს.

ვაჟა ქემოკლიძემ იმ დღეს, ჩვენს გარდა სხვებსაც აღმოუჩინა დახმარება და გაუწოდა მზრუნველი ხელი.

ტრაქტორისტმა ვ. ქემოკლიძემ, ეაბურღილზე მომუშავე მუშებმა ვაჟაკაცური და ჰუმანური მოქმედებისათვის მგზავრთა უღრმესი მადლობა დაიმსახურეს.

ნ. ᲓᲣᲨᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲖᲘᲢᲘ

ᲮᲣᲚᲘᲒᲐᲜᲘ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲐᲓ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲐ

სოფელში ხშირად გაიგონებდით: აფსუს, რა ჯახის პატრონი ცდება უქმად, კოლმეურნეობაში ამდენი საქმეა, ეს ბიჭი კი აქაოქ დაეხეტება, ლოთობასა და უსაქმურობაში ატარებს დღეებსო.

მართლაც, ყვარლის რაიონის სოფელ კუმატახში მცხოვრები იაშა დარჩიაშვილი ისე შევიდა ახაკში, რომ არც ოჯახის, არც საზოგადოების საყარგებლოდ ჩხირიც კი არ გადაუბრუნებია. სწავლას გული არ დაუდო, პატარაობიდანვე მიეძალა მაგარ სასმელებს, შეზარხოშებული ქუჩა-ქუჩა დახეტიალობდა, ყოველთვის ჩხუბინა და აყალ-მაყალის გუნებაზე იყო და შარს ეძებდა.

პარაზიტულმა ცხოვრებამ ი. დარჩიაშვილი დანაშაულამდე მიიყვანა და საპატიმროში ამოჰყო თავი. სასჯელის მოხდის შემდეგ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. თანასოფლელებს ეგონათ ახლა კი ისწავლის ჭკუას, ძველებურ ცხოვრებას თავს დაანებებს, უსაქმოდ წაწყალს მოეშვება, კოლმეურნეობაში იმუშავებს, საქმეს მოკიდებს ხელსო. მაგრამ არ გამართლა იმედი. კვლავ განაგრძო თავაშვებული ცხოვრება. ლოთობდა. ამიტომ სასჯელის მოხდიდან ჯერ ოჯახგვარიც არ იყო გასული, რომ კვლავ ჩაიდინა დანაშაული.

ერთ დღეს, ყვარელში ხეტიალით რომ დაიღალა, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხისაკენ ძველი ნაცნობების მოსანახულებლად გასწია. უზომოდ დათვრა და აბორგდა — ყვარელში საქმე მაქვს, ახლავე უნდა წავიდეო.

ავტობუსის გაჩერებასთან ხულიგანს გარეშო თუ ხალხი თვალში არ მოუვიდა, საჩხუბრად იქაჩებოდა და უწმაწური სიტყვებით შიმართავდა გარშემო მყოფთ.

— მე არავისი არ მეშინია, მილიცია ჩემთვის არ არსებობს, ერთი გამოჩნდეს ვინმე და მაშინ გაყურებინებთ სეირს, — აყვირდა ი. დარჩიაშვილი, როცა მას წესრიგისაკენ მოუწოდეს. ეხეკ არ იკმარა და თავისი „ვაჟკაცობის" დასამტკიცებლად მილიციის უნნის რწმუნებულის კაბინეტთან მიიჭრა, მინები ჩალეწა.

უნნის რწმუნებულმა თ. ათაბეგაშვილმა ი. დარჩიაშვილს წესრიგისაკენ მოუწოდა, მაგრამ მან იუკადრისა, ჯერ შეაგინა, შემდეგ კი ფიზიკური მეურაცხყოფა მიაყენა და მიიმალა.

მეორე დღესვე შეიპყრეს დანაშავე და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცეს. მისი საქმე გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ დანაშაულის ადგილზე — სოფელ ველისციხეში გაარჩია სახალხო მოსამართლე გ. ყაველიშვილის თავმჯდომარეობით და თავაწყვეტილ ხულიგანს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

მართალია, ხულიგანი „დამსახურებისამებრ" დაისაჯა, მაგრამ საკითხავია, რატომ შეუწყეს ხელი მსპინძლებმა ი. დარჩიაშვილს, რომ უზომოდ დამთვრალიყო და ახალი დანაშაული ჩაედინა? განა გზაბნეული ახალგაზრდის გამოსწორება ღვინით გამასპინძლებით შეიძლება? ან რით იმართლებენ თავს ი. დარჩიაშვილის ნათესავები, მეგობრები და თანასოფლელები, რომლებმაც თავიდანვე არ მიაქციეს ყურადღება მის სუსტ მხარეებს და ნებით თუ უნებლიეთ ხელი შეუწყვეს მცდარ გზას დასდგომოდა იგი? ეს დამაფიქრებელია...

„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲖᲔ

ᲒᲠᲫᲝᲚᲐ ᲛᲬᲕᲐᲕᲓᲔᲑᲐ

ᲕᲝᲡᲙᲝᲕᲘ

კარპოვ-პოლუფაევსკის მეოთხე გადადებული პარტიის ანალიზმა ცხადყო, რომ მოსკოველი გროსმაისტერის პოზიციას ვეღარაფერი იხსნიდა. თეორი პაიკების წიხსვლამ ლაზიერის ფრთაზე მთლიანად დაარღვია პოლუფაევსკის ფიგურების ურთიერთმოქმედება. ამასთან კარპოვი ხარისხის მოგებასაც იმუქრებოდა, ამიტომ პოლუფაევსკიმ სულ 8 სვლა გააკეთა და დანებდა. ანგარიში გახდა 1:0 კარპოვის სასარგებლოდ. ეს საერთოდ პირველი გამარჯვებაა, რომელიც კარპოვმა მოიპოვა პოლუფაევსკისთან ნათამაშევ პარტიებში. ამ მატჩამდე მათ ორი ყაიმი ჰქონდათ.

ამ შეხვედრის ბედი გადაწყვიტა არა დებიუტმა ან შუა თამაშმა, არამედ პოლუფაევსკის მიერ ციაბრტში დაშვებულმა შეცდომებმა. სადებიუტო მომზადების თვალსაზრისით პოლუფაევსკი, მიმომხილველთა აზრით, არ ჩამოუვარდება კარპოვს (რამდენადაც ამაზე მსჯელობა შეიძლება 4 გათამაშებული პარტიის მიხედვით), მაგრამ ახალგაზრდა გროსმაისტერს შემდეგ მაინც ნაკლები შეცდომა მოსდის.

პოლუფაევსკი უკვე ვალდებულია მდგომარეობის გამოსწორებისათვის იზრუნოს. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, თეორეთით მეტი აქტიურობაა საჭირო.

გუშინ გაიმართა ამ მატჩის V პარტია, რომელიც ყაიმით დამთავრდა.

ᲝᲓᲔᲡᲐ

მეხუთე პარტია უდავოდ საუკეთესოა კორჩნოის მიერ დღემდე გათამაშებულთა შორის: მას შემდეგ, რაც ადრე თეთრებით ვერაფერს მიაღწია პირველ და მესამე პარტიაში, კორჩნოიმ გამოიყენა რეტი-ნიმცოვიჩის ძველებური დებიუტი. ეს ფსიქოლოგიურად სრულიად გამართლებული „სვლა" აღმოჩნდა. მეკინგი საგულდაგულოდ არის მომზადებული თანამედროვე დასაწყისებში, მაგრამ აი ამ ძველ დებიუტს კი ალღო ვერ აუღია. მსოფლიოს ეკს-ჩემპიონმა სმისლოვმა მაღალი შეფასება მისცა ლენინგრადელი გროსმაისტერის თამაშს ამ პარტიაში.

გადადებული პარტიის თუნდაც ზერელე ანალიზის შემდეგ ცხადი ხდება, რომ ბრაზილიელი გროსმაისტერის მდგომარეობა ფაქტიურად უიმედოა. კორჩნოი იმუქრება ალმორავოს ორი ძლიერი ცენტრალური პაიკი, რომელთაც კარგად ეხმარება კუ. ამის საწინააღმდეგოდ მეკინგს რიიმე დაცვითი მანევრი არ გააჩნია. მისი მხედარი თეთრ კუზე ურესია, პაიკები კი დასუსტებულნი. მართალია, მეკინგს გამცვლელი პაიკი აქვს, მაგრამ მისი შეკავება იოლი საქმეა.

მატჩის მეექვსე პარტია არ გამართულა, მეკინგის აკადემყოფობის გამო.

Ბ. ᲑᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲞᲐᲚᲐᲗᲒᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲔᲑᲗᲐᲜ

კიდევ ორი მატჩი გამართა საბჭოთა ნაკრებმა ბრაზილიაში. სან-პაულუში ბრაზილიელებმა კვლავ გამარჯვეს ანგარიშით 76:72 (39:38), ხოლო 22 იანვარს რიო-დე-ჟანეიროში ჩვენმა კალათბურთელებმა სძლიეს მასპინძლებს — 65:64. როგორც საკადრისის კორესპონდენტი იტყობინება, ეს შეხვედრა ფრიად დაძაბულად წარმართა, მატჩის ბედი გადაწყდა ბოლო წამებში, თავიდან კი საბჭოთა კალათბურთელების უპირატესობა აშკარა იყო, ტაიმიც მათ მოიგეს 30:26. მაგრამ შემდეგ თავი იჩინა მსაჯთა მიკერძოებამ და... ბოლოს ბრაზილიის კალათბურთის კონფედერაციის მესვეურნიც კი იიულებული გახდნენ შეეჭერებინათ თამაში და შენიშვნა მიეცათ მსაჯებისათვის. ასპარეზობაში თავი გამოიჩინა ს. ბელოვმა, რომელმაც თავის გუნდს 32 ქულა შესძინა.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ კალათბურთში ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მესამე ტური. სოჭში ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა რიგის ტტტ-მ, რომელმაც ბოლო ორ მატჩში დაამარცხა ფრუნზეს „სტროიტელი" — 95:56 და „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — 71:38, აღსანიშნავია, რომ ავადმყოფობის შემდეგ დაბრუნდა ულიანა სემიონოვა, რომელმაც ბოლო შეხვედრაში 22 ქულა მოუტანა გუნდს. მოსკოვში დამარცხდა ჩემპიონატის ლიდერი ლენინგრადის „სპარტაკი". მას ანგარიშით 56:51 მოუგო სვერდლოვსკის „ურალმაშმა".

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲛᲝᲐᲮᲓᲝᲕᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲘᲒᲘ?

ᲨᲝᲠᲘᲡ აღარ არის წლეულანდელი საფეხბურთო სეზონი. იგი გაიხსნება მარტის შუა რიცხვებში სსრ კავშირის თასის გათამაშების მატჩებით, ხოლო აპრილის პირველ რიცხვებში სტარტს აიღებს ქვეყნის ჩემპიონატი.

უმაღლეს ლიგაში, იხევე როგორც შარშან, გამოვა 16 გუნდი, პირველში კი — 20.

რა სიახლე იქნება ახალ სეზონში? როგორც სსრ კავშირის მიერ ტრანსფერებსა ... ...